



ბრძანება N 19593

17/06/2021

დამატებული ღირებულების გადასახადის შესახებ მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-2 მუხლის მე-5 ნაწილისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. „დამატებული ღირებულების გადასახადის შესახებ მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2021 წლის 28 აპრილის N13200 ბრძანებაში შეტანილ იქნას შემდეგი შემდეგი ცვლილება:
 - ა) ბრძანების პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დამტკიცებულ N 03 დანართს დაემატოს „მაგალითი 6. - საკუთარი სახელით მოქმედი დასაბეგრი პირის - აგენტის მიერ გამოცემული ერთჯერადი ვაუჩერი“
 - ბ) ბრძანების პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დამტკიცებულ N 03 დანართს დაემატოს მეორე ნაწილი სათაურით - „მრავალჯერადი ვაუჩერი“, ხოლო მეორე ნაწილს დაემატოს „მაგალითი 1. - საკუთარი სახელით მოქმედი დასაბეგრი პირის - აგენტის მიერ გამოცემული ვაუჩერი“;
 - გ) ბრძანების პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით დამტკიცებულ N 06 დანართს დაემატოს მესამე ნაწილი სათაურით - „უძრავ ქონებასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევა, ხოლო მესამე ნაწილს დაემატოს მაგალითი 1. - „დასაწყობების და შენახვის მომსახურება“;
 - დ) მეთოდურ მითითებას დაემატოს დანართი №08. სათაურით - მომსახურების გაწევა და ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
 - „ა) დანართი N1- „დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაცია/რეგისტრაციის გაუქმება“
 - ბ) დანართი N2- „ოპერაციები, რომლებიც არ განიხილება საქონლის მიწოდებად ან მომსახურების გაწევად“.
 - გ) დანართი N3- „ვაუჩერების მეშვეობით განხორციელებული ოპერაციები“
 - დ) დანართი N4- „დასაბეგრი პირები“
 - ე) დანართი N5- „დღგ-ის ჩათვლა“
 - ვ) დანართი N6- მომსახურების გაწევის ადგილი;
 - ზ) დანართი N7- სპეციალური სქემები;
 - თ) დანართი N8- მომსახურების გაწევა.

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ლევან კაკავა

სამსახურის უფროსი

A handwritten signature in black ink, appearing to be 'L. Kakava', written over the printed name and title.